## დღეს მსოფლიოს ბევრი ქვეყანაა დაინტერესებული ქართული ხალხური თამაშებით და ჩვენი სპორტის ეროვნული სახეობებით. მოდ... შეკვეთები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან — გვთხოვენ, რომ ჩვენი საუნჯე ვიდეოფირზე აღვბეჭდოთ და გავუგზავნოთ.







# ლელო

№ 203 (10372)
24 ოქტომბერი,
ოთხშაბათი,
1990 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.


# საუნჯეს ერთად ვუპატრონოთ!

ფიზიკურ აღზრდას ყველა უძველესი ერის ისტორიულ წარსულში აქვს გადგმული ფესვები. ამიტომაც არის, რომ თვითმყოფად ხალხურ თამაშებს, რომელთაგან შემდგომში ბევრი სპორტის ეროვნულ სახეობად იქცა, დღეს განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებიან კულტურული ქვეყნები. ფიზიკური აღზრდის ხალხურ საშუალებებში მკაფიოდ ვლინდება თითოეული ერის ბუნება და ხასიათი. იგი, ასე ვთქვათ, თავისებური ზნეობრივი კატეგორიაც გახლავთ.

ხალხური თამაშები და სპორტის ეროვნული სახეობები მეტწილად ცალკეული ერების შრომისა და ბრძოლის პროცესის ანარეკლია. საქართველოში თამაშები და სპორტის ეროვნული სახეობები უმეტესად საბრძოლო და თავდაცვითი ხასიათის ელემენტებითაა გაჯერებული. თუ რატომ, ვფიქრობთ, ამას ახსნა არ ესაჭიროება. ერთი ცხადია, ჩვენ ხალხს იმდენი თამაში შეუქმნია თავისი ისტორიის მანძილზე, რომ ამ მხრივ, იშვიათად თუ მოეძებნება ბადალი მთელს მსოფლიოში. რამდენს გვეუბნება ამის შესახებ ლიტერატურული ძეგლები თუ ისტორიული წყაროები, გავიხსენოთ ფარსმან მეფის სტუმრობა რომში, გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანი", „საქართველოს ზნეობანი", იტალიელი მისიონერის კასტელის ჩანახატები, გურული მხედრების საარაკო მოგზაურობა ამერიკასა და სხვა ქვეყნებში.

დღეს კვლავ გაიღვიძა ინტერესმა ქართული რაინდული სულის დამტევი საუნჯისადმი. სულ ახლახან ამერიკის შეერთებული შტატებიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ ჟურნალისტები, რომ ჩვენი ცხენოსნური თამაშები გადაეღოთ ვიდეოფირზე, მოეპოვებინათ საინტერესო მასალები. აპრილში ჩვენი მხედრები პირველად ეწვივნენ ჰოლანდიას, საიდანაც მთელს მსოფლიოს მოედო „ცხენზე ამოსული" საოცარი ქართველების ამბავი. ქართულ ჭიდაობას ასწავლიან იაპონიაში, თუმცა ძიუდოს მამამთავრებს თითქოს სხვა ხალხისგან „სასესხებელი" არაფერი უნდა ჰქონდეთ. სულ რამდენიმე დღეა, რაც არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან სრულიად მოულოდნელად მოვიდა თხოვნა, მომზადდეს ვიდეომასალა ქართულ ხალხურ თამაშებზე და სპორტის ეროვნულ სახეობებზე. უფრო ადრე ეს მასალები მოითხოვეს შვედებმა. ასეთივე ინტერესი გაჩნდა ჩეხოსლოვაკიაში მას შემდეგ, რაც იქ ჩავიდნენ ქართველი ცხენოსნები და თან ცხენოსნობის ეროვნული სახეობებისადმი მიძღვნილი ფოტომასალები ჩაიტანეს. დღეს მთელს მსოფლიოში, ასე ვთქვათ, მოდაშია ფოლკლორის, ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ფესტივალები თუ შოუ-სანახაობები. ალბათ გახსოვთ, წელს შვეციაში ხალხური ცხენოსნური თამაშების მსოფლიო ფესტივალი ჩატარდა, ჰოლანდიაში კი ქართველი მხედრები სწორედ დიდ დღესასწაულზე მიიწვიეს, რომლის შემდეგაც განსაკუთრებით ამაღლდა ინტერესი ჩვენი ეროვნული საუნჯისადმი.

ჩვენი საზოგადოებრიობა დიდ დაინტერესებას იჩენს ქართული სპორტისადმი და ეს გასაგებიცაა, მაგრამ დადგა დრო, მსოფლიოს ხალხებს ისიც გავაცნოთ თუ საიდან იღებს სადავეს ეს ხალხი ნიჭი, სად ბუდობს რაინდული სული, რისი პატრონები და შემოქმედნი ვართ. ყოველივე ამას ადრე განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევდით, დღეს გარესამყარო თავად გვთავაზობს ჩვენი ეროვნული საუნჯის გამომზეურებას. ესეც ხომ ერის საყოველთაო აღიარების ერთ-ერთი საგულისხმო გზაა.

ყველამ გულთან ახლოს მივიტანოთ ქართული ხალხური თამაშებისა და მისი გვირგვინის — სპორტის ეროვნული სახეობების მოვლა-პატრონობის საქმე. წინ დიდი პერსპექტივა გვეშლება, რომელიც ერთიანი ძალისხმევით უნდა ვაქციოთ რეალობად. ახლახან უკვე შეიქმნა ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაცია. სწორედ ამ ასოციაციის გარშემო უნდა დავირაზმოთ საერთო საქმის სასიკეთოდ.

# დებიუტიც ასეთი უნდა!

დუისბურგის (გფრ) ჭაბუკ ძიუდოისტთა ტურნირს (1973-1974 წ. წ. დაბადებულთა შორის) საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველად ეს შეჯიბრება 1969 წელს გაიმართა და მას შემდეგ ევროპის უძლიერესი ნორჩი ძიუდოისტები სისტემატურად ასპარეზობენ მასში. წლეულს პირველად, ორგანიზატორებმა საბჭოთა გუნდიც მიიწვიეს. არჩევანი შეჩერდა „მართვეს" ნაკრებზე, როგორც სპორტსაზოგადოებებს შორის საკავშირო პირველობაში გამარჯვებულ კოლექტივზე.

ტურნირში წარმატებით გამოსვლა ორი მიზეზით იყო საპატიო. ჯერ ერთი, გფრ-მ ასპარეზობაში 254 (!) ნორჩი ძიუდოისტი წარმოადგინა, რაც ამ ქვეყნის შესაძლებლობებს მაქსიმალურად ზრდიდა. მეორეც, კარგი დებიუტი გარკვეული სტიმული იქნებოდა ჩვენი მოჭიდავეებისთვის, და ხელს შეუწყობდა მათ შემდგომ დაოსტატებას. წინასწარ გეტყვით, „მართვემ" შესანიშნავად გაართვა თავი მის წინაშე დასახულ ამოცანას და გამარჯვებული დაბრუნდა შინ (გუნდის უფროსი მწვრთნელი ვახტანგ კბილაშვილი, დელეგაციის ხელმძღვანელი გურამ მარგიშვილი).

უფრო უკეთ რომ წარმოვიდგინოთ ჩვენი ძიუდოისტების გამარჯვების მნიშვნელობა, გთავაზობთ ცხრილს, რომლის პირველ სვეტში აღნიშნულია მონაწილეთა რაოდენობა, მომდევნო სამ სვეტში კი დაკავებული ადგილები. მაშ ასე:

| | | I | II | III |
|---|---|---|---|---|
| „მართვე" | 7 | 4 | 1 | — |
| გფრ | 254 | 2 | 4 | 9 |
| გდრ | 31 | 2 | 1 | 2 |
| საფრანგეთი | 12 | — | 1 | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | 8 | — | — | 2 |
| ავსტრია | 8 | — | — | 1 |
| შვეიცარია | 9 | — | — | — |
| ბულგარეთი | 7 | — | — | — |



რამდენიმე სიტყვა გამარჯვებულ სპორტსმენებზე. მძიმე წონაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაისაკუთრა ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა თამაზ ცოფურაშვილმა, რომელმაც ექვსივე შეხვედრა მოიგო.

ექვსი შეხვედრა მოიგო თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტმა გივი შარიაშვილმაც (78 კგ). ფინალში მისი მეტოქე იყო გორელი გოჩა ერისთავი, მაგრამ მან ტრავმის გამო ჭიდაობა ვერ შესძლო და საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა.

71 კგ. წონითს კატეგორიაში თბილისელმა მოსწავლემ ალექსანდრე ღვინიაშვილმა ყველა ორთაბრძოლა წმინდად მოიგო. ამისათვის მან ოქროს მედალთან ერთად სპეციალური პრიზიც დაიმსახურა. ექვსივე შეხვედრა მოიგო წმინდად 65 კგ წონაში გამარჯვებულმა თბილისელმა მამუკა კელაპტრიშვილმაც.

როგორც ხედავთ, დებიუტი მართლაც კარგი გამოდგა და იგი ჩვენს ნორჩ ძიუდოისტთა მზარდ შესაძლებლობებზე მიგვანიშნებს.

# გიწვევთ ასოციაციის დამფუძნებელ კრებაზე

მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის შექმნის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც შედგება ჯანდაცვისა, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებისგან, იუწყება, რომ **ასოციაციის დამფუძნებელი კრება გაიმართება 25 ოქტომბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში 13 საათსა და 30 წუთზე.** ასოციაციის მიზნები გამომდინარეობს ერის ინტერესებიდან და მიზნად ისახავს მოსახლეობის ფიზიკურ გაჯანსაღებას, ჰარმონიულად განვითარებული მამულიშვილების მომზადებას.

ორგკომიტეტი თხოვნით მიმართავს ყველას, დაინტერესებულ ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, პიროვნებებს მონაწილეობა მიიღონ ასოციაციის დამფუძნებელი კრების მუშაობაში.

საქართველოს სპორტსახკომისა და სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ადგილობრივი სპორტკომიტეტებისა და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საბჭოების თავმჯდომარეებს დამატებითი შეტყობინების გარეშე ეძლევათ უფლება ჩამოვიდნენ დამფუძნებელ კრებაზე.

**საორგანიზაციო კომიტეტი.**

## დღეს საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაა

**დღეს, 24 ოქტომბერს, „ლელოს" რედაქციაში გაიმართება მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის შექმნის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. მედიცინის და ფიზკულტურის მუშაკების ეს გაერთიანებული სხდომა, რომელიც განიხილავს ასოციაციის დამფუძნებელი კრების ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხს, დაინიშნულია 15 საათზე.**

## გარი მერკვილაძის პრიზზე

საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ გარი მერკვილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოსწავლე-წყალბურთელთა საკავშირო ტურნირი ტრადიციულად შემოდგომით ტარდება და მიზნად ისახავს რესპუბლიკათა ნაკრებ გუნდებთან გაწეული მუშაობის ერთგვარ შეჯამებას. ამ მხრივ არც რიგით მე-16 ტურნირი იყო გამონაკლისი. მით უმეტეს, იგი ძალთა შემოწმებაც იყო ჭაბუკთა მომავალი საკავშირო ჩემპიონატის წინ, რომელიც დეკემბრის დასაწყისში დაიწყება მინსკში.

გ. მერკვილაძის მემორიალზე, ბათუმში, საქართველოს 2-მა ნაკრებმა (უფროსი და უმცროსი ასაკისა), ბათუმის, ქუთაისის გუნდებმა, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და სომხეთის ნაკრებებმა მოიყარეს თავი. ჩვენი წყალბურთელების პირველმა გუნდმა (მწვრთნელი გოჩა სეხნიაშვილი), რომელიც საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკური სპორტსკოლის ბაზაზეა დაკომპლექტებული, რვა შეხვედრა ჩაატარა, ყველა დამაჯერებელი ანგარიშით მოიგო და საპატიო პრიზს დაეუფლა. მეორე ადგილზე ბელორუსიის გუნდი გავიდა, მესამეზე — უკრაინისა.



**სურათზე: გარი მერკვილაძის მემორიალში გამარჯვებული საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები.**

**ჯემალ კახრაძის ფოტო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველის თვალსაზრისი

# ქართული სპორტის სუვერენიტეტისათვის

**18 ოქტომბერს** გაზეთ „ლელო-ში" დაიბეჭდა საქართველოს რაგბის კავშირის მდივნის, ბატონ დავით კილასონიას წერილი: „მორიგი ხრიკის მოლოდინში", სადაც საქართველოს რაგბის კავშირის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ საკავშირო ფედერაციის მორიგ მცდელობებზე იყო საუბარი.

როგორც ირკვევა, ნაძალადევი მეურვეობიდან თავდასახსნელად ქართული რაგბის მესვეურებს სხვა რესპუბლიკათა წარმომადგენლებთან ერთად უძებნიათ გზები და ამ მიზნით, კერძოდ რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობით შეუმუშავებიათ წერილის პროექტი და მიუღიათ საერთო გადაწყვეტილება „სსრკ და რუსეთის ფედერაცია მოუწოდებენ სხვა რესპუბლიკებს, შექმნან ახალი, სუვერენული რესპუბლიკების დამოუკიდებელი ფედერაციების კავშირი, რომლის პრეზიდიუმი შედგება რესპუბლიკური ფედერაციების პრეზიდენტებისაგან". იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებები უნდა ჩაატაროს ამ ახალმა კავშირმა, ავტორი წერს: „გათვალისწინებულია ეროვნული ჩემპიონატების ჩატარება, შემდეგ რესპუბლიკების საუკეთესო გუნდები გამოვლენ ღია ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში, აგრეთვე ოფიციალურ ტურნირებში რესპუბლიკების გუნდებს შორის".

მოკრძალებით შევბედავთ ავტორს: რამდენად ენდობიან ისინი თავიანთ ახალ პარტნიორს? დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა ერთი სახის კაბალიდან გამოსულებმა ახალ კაბალურ ურთიერთობაში არ შევრგოთ თავი. უნებლიეთ იბადება კითხვა: ხომ არაფერი ნაღმი ძევს რუსეთის რაგბის ფედერაციის კავშირში საქართველოს ფედერაციასთან? ხომ არ ემსგავსება ეს ალიანსი რაღაცით რუსეთ-საქართველოს აწინდელსა და მომავლის ახალ შესაძლო სამოკავშირეო ხელშეკრულებას პოლიტიკაში, ჩვეულ იმპერიულ თვალთმაქცობასთან ხომ არ გვაქვს საქმე? ვითომ რესპუბლიკები ერთად ებრძვიან საკავშირო ფედერაციის დიქტატს და სინამდვილეში კი მის წინააღმდეგ კიდევ უფრო მჭიდროდ ერთიანდებიან ახლებურ კავშირში? ღმერთმა ქნას, ასეთი ეჭვები უსაფუძვლო გამოდგეს და ქართული რაგბის მესვეურთა ახალი ნაბიჯი სასიკეთოდ დაჰბედებოდეს ქართულ სპორტს.

სპორტის სფეროში ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების უსიამო პერსპექტივის თავიდან აცილების სანიმუშო მაგალითი უკვე მოგვცა ქართულმა ფეხბურთმა. საქართველოს ეროვნულმა ჩემპიონატმა ყოველგვარ მიტინგებზე, დემონსტრაციებსა და მანიფესტაციებზე უკეთ დაანახვა მთელ მსოფლიოს ქართველი ერის მისწრაფება სუვერენიტეტისაკენ. საქართველოს საფეხბურთო ცხოვრებამ წინ გაუსწრო თვით პოლიტიკურ ცხოვრებასაც და ეროვნული ჩემპიონატით საქართველომ მთელ ქვეყანას ამცნო, რომ მისი ინტერესებისა და ყურადღების სფერო მისივე რესპუბლიკის საზღვრებით არის მოზღუდული და არაფერი საერთო არა აქვს იმპერიის სხვა რეგიონთა პრობლემებთან.

ჰოდა, რაკი ასეთი შესანიშნავი მაგალითი არსებობს, სპორტის სხვა სახეობებმაც, ცხადია, ფეხბურთს უნდა მიბაძონ და ყველამ ერთად, საერთო ძალისხმევით გაიტანონ დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი სვრელი.

დღევანდელ საქმეს იქითკენ უჩანს პირი, რომ დაშლის პირას მდგომი იმპერია თავად მიდის და თანდათან უფრო მეტად წავა ახალსა და ახალ დათმობებზე და აქეთ შემოგვთავაზებს სახეშეცვლილ, მოდიფიცირებულ სპორტულ ასპარეზობებს იმპერიისავე ფარგლებში. ამ გზით იგი ერთდროულად დემოკრატიობანასაც ითამაშებს და თუ სიტყვით აღიარებს სხვათა სუვერენიტეტს, საქმით გადაუღობავს გზას მსოფლიოს სპორტული ფორუმებისაკენ.

ჩვენი ვალია, რომ თავი არ მოვატყუებინოთ და **მომავალი წლიდანვე ერთხელ და სამუდამოდ განვაცხადოთ უარი ყოველგვარ სპორტულ ღონისძიებაზე, რომელიც საკავშირო შეჯიბრებების ნიშნით გაიმართება.** მათში მონაწილეობა პრაქტიკულად პოლიტიკაში ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ფარდი იქნება, რაც ქართველ სპორტსმენებს გაუძნელებს დამოუკიდებელ საერთაშორისო კონტაქტებს. ქართული სპორტის უმთავრესი მიზანი და ამოცანა კი ის უნდა იყოს, რომ **საქართველო თავისი დამოუკიდებელი გუნდით გამოვიდეს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, უნივერსიადებზე და ოლიმპიადებზე,** და არაფერი დაშავდება თუ ამ მიზნის მისაღწევად სპორტის ყველა სახეობაში ფეხბურთივით წინ გავასწრებთ პოლიტიკურ ცხოვრებას! მაგრამ აქ ჩვენი სპორტის მესვეურები შეიძლება შემოგვედაონ: კიდეც რომ სცნონ საქართველოს სპორტულ ორგანიზაციათა დამოუკიდებლობა საერთაშორისო მასშტაბით, ევროპისა და მსოფლიოს უდიდესი სპორტული ფორუმები უკეთეს შემთხვევაში წელიწადში ერთხელ იკრიბება. მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ, რესპუბლიკური ჩემპიონატების ანაბარა დავტოვოთ ქართველი სპორტსმენები? ეს ხომ არაფრით არ იქნება საკმარისი მაღალი კლასის სპორტსმენების აღზრდისათვის? ცხადია, არ იქნება! ამიტომ უნდა მოიძებნოს **საკავშირო პირველობებისაგან განსხვავებული ფორმა** და სწორედ იმ ფორმით ჩატარდეს შეჯიბრებები. კეთილი, მაგრამ რა სახისა უნდა იყოს ეს ფორმა? რა სახისაც გნებავთ. მაგალითად:

**ა) საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრებები.** მსგავსი ტურნირების გამართვის დიდი ხნის ტრადიცია დამკვიდრებული ჭიდაობასა და ხელბურთში. სპორტის სასახლის ამ [illegible] მაგალითი სპორტის ნებისმიერ სახეობაზე შეიძლება იქნეს გადატანილი.

**ბ) სამატჩო შეხვედრები ცალკეული ქვეყნების ნაკრებ გუნდებთან, სპორტის ერთ რომელიმე სახეობაში** (დაახლოებით ისეთი სახისა, როგორსაც საბჭოთა ნაკრები მართავდა აშშ-ს მძლეოსნებთან თუ მოკრივეებთან).

**გ) დაძმობილებული ქალაქების ტურნირები. თბილისელთათვის ეს** შეიძლება ნიშნავდეს ტურნირს ზაარბრიუკენის, ლიუბლიანის, ნანტის, პალერმოს, ატლანტისა და სხვა დაძმობილებულ ქალაქთა გუნდებთან.

**დ) რეგიონალური ჩემპიონატები.**

**I. შავიზღვისპირა ქვეყნების პირველობა,** სადაც იასპარეზებენ ბულგარეთის, რუმინეთის, თურქეთის, რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. ასეთი ტურნირი საინტერესო იქნება სპორტის ნებისმიერ სახეობაში.

**II. კავკასიის ჩემპიონატი.** ქართველების მხარდამხარ ყაბარდოელების, ჩერქეზების, ადიღეელების, ჩეჩნების, ინგუშების, დაღესტნელების და სხვათა მონაწილეობით. იოლი წარმოსადგენია, როგორი სიძლიერის ტურნირის გამართვა შეიძლება ამ გუნდებს შორის ჭიდაობაში!

**ე) აღმსარებლობითი და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ნიშნით აღბეჭდილი ტურნირები.**

**I. ქრისტიანული თანამეგობრობის ქვეყნების ასპარეზობანი.** მაგალითად, მართლმადიდებლურ სახელმწიფოთა გუნდებს შორის, სადაც ქართველების გვერდით გამოვლენ ბულგარეთის, კვიპროსის, რუმინეთის, საბერძნეთის, რუსეთის, სერბეთის, ჩეხეთის გუნდები.

II. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო კონსტიტუციური მონარქია გახდება — **სამეფო თასის გათამაშება.** საქართველოს შეეძლება ჩაება თასის გათამაშებაში ინგლისის, ესპანეთის, ნორვეგიის, დანიის, შვედეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის, იაპონიის გუნდებთან ერთად...

ერთი სიტყვით, შესაძლებელია უამრავი შეჯიბრის ჩატარება სრულიად სხვადასხვა ფორმით. ოღონდ, აქ მთავარი ის გახლავთ, რომ არცერთ იმ ტურნირებში არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა, რომელიც იმპერიული ერთიანობის სტრუქტურას განამტკიცებს და არცერთი ქართველი სპორტსმენი, არცერთი ქართული გუნდი აღარ უნდა გამოვიდეს შეჯიბრებაში, რომელიც ძალადობით შექმნილი კავშირის — **საბჭოთა კავშირის ეგიდით ჩატარდება და რომელსაც საბჭოთა კავშირის თუნდ ღია და თუნდ დახურული ჩემპიონატი, თასი ან სპარტაკიადა ერქმევა!**

**ზურაბ ასკანელი**

**რედაქციისაგან: ავტორი გულწრფელად გვიზიარებს თავის შეხედულებებს და ისეთ საკითხებს ეხება, რომლებიც ღირს დასაფიქრებლად. შესაძლოა ზოგიერთი მოსაზრება სადაოც იყოს, მით უკეთესი. ვიდაოთ! სპეციალისტებმა უკეთ იციან რა გზით მივიდეთ სრულ სპორტულ სუვერენიტეტამდე ისე, რომ ეროვნული სპორტის ტრადიციების მემკვიდრეობითობა არ მოიშალოს, საფუძველი არ შეერყეს ქართული სპორტის სიმბოლურ ნაგებობას.**

**მოგვწერეთ, ვიმსჯელოთ და ისე მივიდეთ ჭეშმარიტებამდე.**

---

მატიანე

**რა** თქმა უნდა, რომ ,კრივის, ამ ვაჟკაცთა სპორტის ძველ თბილისელ გულშემატკივრებს არ გაუჭირდებათ ამ ფოტოზე აღბეჭდილი ომამდელი და ომის შემდგომი პერიოდის პოპულარული მოკრივეების ცნობა. დიახ, ეს ნავასარდოვ-კოროლიოვის ერთ-ერთი ორთაბრძოლაა, საკავშირო ჩემპიონატებსა და აბსოლუტურ პირველობებს რომ ამშვენებდა... იმ დროს ქალაქის ელიტარულ წრეებში ხშირად გაიგონებდით ამგვარ მოარულ კითხვას: „იყავით რიხტერის კონცერტზე?", „მოუსმინეთ შულჟენკოს?", „შილდელზე არ მიდიხართ?" ამ სტერეოტიპებს ორგანულად ერწყმოდა აგრეთვე კითხვა: „კოროლიოვ-ნავასარდოვის შეხვედრას თუ დაესწარით?". დიახ, ხელოვნების „გურმანებს" მათი მატჩებიც დიდ საზრდოს აძლევდა, რადგან ეს ორთაბრძოლები მართლაც რომ „ნატიფი ხელოვნება" იყო.

რაც შეეხება ქვეყნის აბსოლუტურ პირველობას, იგი შემთხვევით არ გვიხსენებია. თბილისელი სპორტსმენი სამჯერ შეხვდა ამ გამორჩეული ასპარეზობის ფინალში თავის მრისხანე მეტოქეს და ორჯერ ძალზე ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ... განსაკუთრებული სინანულით იხსენებს იგი 1943 წლის ჩემპიონატს, რადგან მაშინ თავისი სპორტული ფორმის ზენიტში იყო (მაშინ ე. ოგურენკოვს ხვდებოდა ფინალში) და მაინც... აი, როგორ იყო საქმე: შეჯიბრება მოსკოვში იმართებოდა, ზამთარში. საგანგებო სამხედრო მდგომარეობა იქ ჯერ მოხსნილი არ იყო. ნავასარდოვს მეგობარი, ისიც მოკრივე ლევან ღუდუშაური შეუჩნდა — ჩვენმა დიდმა ქომაგმა, კომპოზიტორმა ვანო მურადელმა დაგვპატიჟა თავის აგარაკზე და ვეწვიოთო. ბატონი ანდრო დამყოლი კაცია და გული არ გაუტეხა ამხანაგს. სტუმრობა შუაღამემდე გაგრძელდა. მოსკოვში რომ დაბრუნდნენ, სასტუმროსკენ მიმავალთ პატრულებმა საგანგებო საშვები მოსთხოვეს, რომელიც მათ არ ჰქონდათ. ამიტომაც ორივენი მილიციის განყოფილებაში მიიყვანეს. მოკრივეებმა აუხსნეს თავიანთი მდგომარეობა, მილიციის უფროსმა იცნო ორივენი, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობააო, უთხრა, მე რომ გაგიშვათ, გზაზე სხვა პატრული გაგაჩერებთ, ქუჩაში ღამის გათევა არ აგცდებათ და ჯობს ჩვენთან აქ მოიცადოთ დილამდეო. მოკრივეებს ეს ჰკუაში დაუჯდათ და დაყაბულდნენ, მაგრამ მილიციის განყოფილება, მოგეხსენებათ, სასტუმროს კომფორტისაგან ძალზე შორსაა და ნავასარდოვი ანგინით გახდა ავად. მიუხედავად ამისა, მეორე დღეს იგი მაინც იხილეს მოსკოველებმა რინგზე, მაგრამ ეს ის ნავასარდოვი არ იყო და ბრძოლის დათმობა მოუხდა.



1944 წელს ანდრომ საკავშირო პირველობის ფინალში დაამარცხა ნიკოლაი კოროლიოვი და ჩემპიონის მაისურიც დაისაკუთრა (მაშინ ოქროს მედლების ნაცვლად გამარჯვებულები ქვეყნისგერბიანი მაისურებით ჯილდოვდებოდნენ). საერთოდ კი კოროლიოვ-ნავასარდოვის შეხვედრების ანგარიშია 7:3 მოსკოველის სასარგებლოდ.

ამ დღეებში ბატონ ანდროს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. სპორტის მოყვარულთა სახელით ვეტერან სპორტსმენს ვულოცავთ ამ თარიღს.

**უშანგ ჟიჟინაძე**

---

ვამოწმებთ სასკოლო საცურაო აუზებს

## ოქტომბრის ბოლოც მოახლოვდა

**ხანმოკლე** სიხარული ჩვენთვის უცხო სულაც არ არის, მაგრამ ასეთის დახანანია, როცა საქმე ბავშვის კეთილდღეობას ეხება და სიხარულს უმალვე სინანული ენაცვლება. აღტაცება, შემდეგ კი სინანული განაცდევინა თბილისის 164-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს სკოლის საცურაო აუზმა. ჯერ კიდევ შარშან, აქ დამწყები კლასების მოსწავლეებს გაკვეთილებზე უტარდებოდათ ცურვაში, სექციებში ორგანიზმს იკაჟებდნენ უფროსკლასელებიც, წელს კი...

დღეს დამშრალ აუზს ბავშვები გაწბილებულები შესცქერიან. არც არის იმედი, რომ უახლოეს დროში ისინი კვლავ გაიხარებენ.

სკოლის დირექტორმა, თამაზ გუჯაძემ სინანულით გვითხრა, რომ წლევანდელი სასწავლო წლიდან, გაჭიანურებული სარემონტო სამუშაოების გამო, აუზი არ მუშაობს.

ლენინის რაიონის №1 სარემონტო სამშენებლო სამმართველოს დაუწყია ამ აუზის შეკეთება, ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის იგი მზად უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა მშენებლები ოქტომბრის ბოლოსათვის პირდებიან მოსწავლეებს აუზის ამუშავებას.

ოქტომბრის ბოლოც მოგვიახლოვდა. სამუშაოს დამთავრებას კი კარგი პირი არ უჩანს. თუმცა, დაველოდოთ, იქნებ მოხდეს სასწაული.

**თამარ ჯიშკარიანი**

---



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## ორი წრის შემდეგ

**დამთავრდა** კალათბურთელ ვაჟთა 58-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპის მეორე წრის მატჩები. გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებსა და ცხრილებს ორივე წრის შედეგების გათვალისწინებით.

**პირველი ჯგუფი.** ცსკა — „შახტიორი" (ნერიუნგრი) 110:75, ასკ (კიევი) — „ლოკომოტივი" (ნოვოსიბირსკი) 84:91, ცსკა — „ლოკომოტივი" 101:97, ასკ — „შახტიორი" 91:73, ცსკა — ასკ 72:89, „ლოკომოტივი" — „შახტიორი" 95:88.

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 6 | 5 | 1 | 11 |
| ასკ | 6 | 4 | 2 | 10 |
| „ლოკომოტივი" | 6 | 3 | 3 | 9 |
| „შახტიორი" | 6 | 0 | 6 | 6 |

**მეორე ჯგუფი.** „დინამო" (მოსკოვი) — „ავტოდოროჟნიკი" (სარატოვი) 115:101, „კალევი" (ტალინი) — „იმპულსი" (კრასნოდარი) 94:90, „დინამო" — „იმპულსი" 117:99, „კალევი" — „ავტოდოროჟნიკი" 74:79, „დინამო" — „კალევი" 84:104, „იმპულსი" — „ავტოდოროჟნიკი" 112:90.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო" | 6 | 5 | 1 | 11 |
| „ავტოდოროჟნიკი" | 6 | 3 | 3 | 9 |
| „იმპულსი" | 6 | 2 | 4 | 8 |
| „კალევი" | 6 | 2 | 4 | 8 |

**მესამე ჯგუფი.** „ბუდიველნიკი" (კიევი) — „კრასნი კოტელშჩიკი" (ტაგანროგი) 110:85, რტი (მინსკი) — „სპარტაკი" (ლუგანსკი) 98:99, „ბუდიველნიკი" — „სპარტაკი" 80:71, რტი — „კრ. კოტელშჩიკი" 86:95, „ბუდიველნიკი" — რტი 121:108, „სპარტაკი" — „კრ. კოტელშჩიკი" 106:98.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „ბუდიველნიკი" | 6 | 6 | 0 | 12 |
| „სპარტაკი" | 6 | 4 | 2 | 10 |
| რტი | 6 | 1 | 5 | 7 |
| „კრ. კოტელშჩიკი" | 6 | 1 | 5 | 7 |

**მეოთხე ჯგუფი.** „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (ფრუნზე) 63:62, ასკ (ალმა-ათა) — „უზსტროიმეხანიზაცია" (ტაშკენტი) 109:78, „დინამო" (თბილისი) — „უზსტროიმეხანიზაცია" 71:73, ასკ — „დინამო" (ფრუნზე) 101:89, „დინამო" (თბილისი) — ასკ 97:105, „უზსტროიმეხანიზაცია" — „დინამო" (ფრუნზე) 86:81.

**შენიშვნა.** ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ წინა ნომერში მკითხველებს ვაუწყეთ თბილისის „დინამოს" გამარჯვება ტაშკენტის გუნდთან (73:71). სამწუხაროდ, ფრუნზედან მიღებული ეს ცნობა სწორი არ გამოდგა. დინამოელებს ექვს მატჩში მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვთ და კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ასკ | 6 | 6 | 0 | 12 |
| „უზსტროიმეხ" | 6 | 4 | 2 | 10 |
| „დინამო" (ფრუნზე) | 6 | 1 | 5 | 7 |
| „დინამო" (თბილისი) | 6 | 1 | 5 | 7 |

**მეხუთე ჯგუფი.** „სტროიკერამიკა" (დონეცკი) — „სტროიტელი" (ირკუტსკი) 101:79, ნკი (ნიკოლაევი) — „სტროიტელი" (კუიბიშევი) 82:97, „სტროიკერამიკა" — „სტროიტელი" (კუიბიშევი) 88:97, ნკი — „სტროიტელი" (ირკუტსკი) 104:82, ნკი — „სტროიკერამიკა" 112:107, „სტროიტელი" (კუიბიშევი) — „სტროიტელი" (ირკუტსკი) 117:94.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „სტროიტელი" (კუიბ.) | 6 | 5 | 1 | 11 |
| ნკი | 6 | 4 | 2 | 10 |
| „სტროიკერამიკა" | 6 | 2 | 4 | 8 |
| „სტროიტელი" (ირკ.) | 6 | 1 | 5 | 7 |

**მეექვსე ჯგუფი.** ვეფ (რიგა) — „სტროიტელი" (მოსკოვის ოლქი) 121:84, ასკ (რიგა) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 88:121, ვეფ — ასკ 126:88; „სპარტაკი" — „სტროიტელი" 110:75, „სპარტაკი" — ვეფ 112:100, ასკ — „სტროიტელი" 99:79.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 6 | 5 | 1 | 11 |
| ვეფ | 6 | 5 | 1 | 11 |
| ასკ | 6 | 1 | 5 | 7 |
| „სტროიტელი" | 6 | 1 | 5 | 7 |

პირველი ეტაპის მესამე წრის მატჩები 27-29 ოქტომბერს ჩატარდება. თბილისის „დინამო" შინ ითამაშებს ისევ ალმა-ათის, ტაშკენტისა და ფრუნზეს კალათბურთელებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### I ჯგუფი

„ბახტრიონი" (ახმეტა) — „მალაროელი" (ჭიათურა) 3:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ხოხობაშვილი, თედეშვილი-2 („ბახტრიონი"), ერაძე, ტეფნაძე („მალაროელი").

„შუქურა" (ქობულეთი) — „არაგვი" (დუშეთი) 1:0. მსაჯი მ. ჰელიძე (თბილისი). გოლი: ბერიძე („შუქურა").

„იმერეთი" (ხონი) — „სიხარული-90" (გაგრა) 3:2. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი). გოლები: თვალაბეიშვილი, ცინარიძე, ნოზაძე („იმერეთი"), დგებუაძე, გოგიაშვილი („სიხარული-90").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ი. ადამია („სიხარული-90").

„საპოვნელა" (თერჯოლა) — „სქური" (წალენჯიხა) 0:2. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (ოზურგეთი). გოლები: კვარაცხელია-2 („სქური").

„ქართლი" (გორის რ-ნი) — „სულორი" (ვანი) 2:5. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: ტაბატაძე, ჰეჰელაშვილი („ქართლი"), ხურცილავა-2, ვერულაშვილი-2, ბრეგვაძე („სულორი").

„დურუჯი" (ყვარელი) — ფიზკ. ინსტ. (თბილისი) 3:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი). გოლები: ლიპარტელიანი, ლობჟანიძე, კლიმაუსკასი („დურუჯი").

„ალაზანი" (გურჯაანი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 4:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი). გოლები: კეკელიშვილი, აბულაძე, ზაალიშვილი-2 (მანვე ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი დარტყმა).

„არმაზი" (მცხეთა) — „სიონი" (ბოლნისი) 1:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ხუცურაული („არმაზი"), ჯაგოვი („სიონი").

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — „მარგვეთი" (ზესტაფონი) 1:5. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი). გოლები: მალრაძე (ტექ. უნივ.), აკოფიანი-2, წითელაშვილი-2, ფოცხვერაშვილი („მარგვეთი").

„კახეთი" (თელავი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 6:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (ხაშური). გოლები: მწყერაშვილი („ჩიხურა), აფაქიძე-2, გ. ჰვრიტიძე-4 („კახეთი").

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მარგვეთი" (ზესტაფონი) | 33 | 24 | 3 | 6 | 82-36 | 75 |
| „სულორი" (ვანი) | 33 | 23 | 4 | 6 | 74-46 | 73 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 32 | 21 | 4 | 7 | 62-31 | 67 |
| „კახეთი" (თელავი) | 32 | 18 | 6 | 8 | 60-34 | 60 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 32 | 13 | 11 | 8 | 49-44 | 50 |
| „სიხარული"-90 (გაგრა) | 33 | 14 | 4 | 15 | 55-46 | 46 |
| „იმერეთი" (ხონი) | 32 | 13 | 7 | 12 | 38-44 | 46 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 33 | 11 | 13 | 9 | 49-45 | 46 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 32 | 12 | 6 | 14 | 61-57 | 42 |
| „საპოვნელა" (თერჯოლა) | 33 | 12 | 6 | 15 | 42-47 | 42 |
| „სიონი" (ბოლნისი) | 33 | 11 | 9 | 13 | 61-61 | 42 |
| „ქართლი" (გორის რ-ნი) | 32 | 12 | 5 | 15 | 47-47 | 41 |
| „მალაროელი" (ჭიათურა) | 33 | 12 | 5 | 16 | 50-62 | 41 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 33 | 11 | 6 | 16 | 40-57 | 39 |
| „არმაზი" (მცხეთა) | 33 | 10 | 9 | 14 | 47-60 | 39 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 33 | 9 | 9 | 15 | 40-63 | 36 |
| „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) | 33 | 7 | 14 | 12 | 39-45 | 35 |
| ფიზკ. ინსტ. | 33 | 8 | 8 | 17 | 34-55 | 32 |
| სტუ | 33 | 10 | 1 | 22 | 39-75 | 31 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 33 | 9 | 4 | 20 | 40-54 | 31 |

## გამოცხადდეს კონკურსი

ამ დღეებში ქართულმა მიწამ სამარადჟამოდ მიიბარა ეროვნული ფეხბურთის ყველაზე მოკაშკაშე ვარსკვლავი — ბორის პაიჭაძე. აღნიშნულთან დაკავშირებით გადავწყვიტე, ახლო ხანში გამოსაცემად მოვამზადო მორიგი წიგნი სერიიდან „ქართული კულტურის მოღვაწენი მეგობრულ შარჟებში", რომელიც ამ უბადლო ფეხბურთელის უკვდავ ხსოვნას მიეძღვნება. წიგნისათვის სათანადო მასალების შერჩევისას ჩემი ყურადღება მიიპყრო ოთარ ჭელიძის ლექსმა, რომელშიც მოკლედ, მაგრამ დიდი დამაჯერებლობითაა ასახული ის ფასდაუდებელი ღვაწლი, რომელიც ბორის პაიჭაძემ შეიტანა ჯერ თავად ქართული ფეხბურთის უმაღლეს საფეხურზე ატყორცნაში, შემდეგ ფეხბურთელთა ახალ-ახალი თაობების აღზრდასა და წვრთნაში.

ფრიად საგულისხმოა ამ ლექსის დასასრულიც:

**„ხმა იმ ატეხილი ზარგუგუნის**
**სულში ჩაგვრჩენია სიყმაწვილედ,**
**ვინც დღეს ნახევარი საუკუნის**
**საზღვარ-სამანამდე მივაღწიეთ.**
**ვისი თავდადებაც საოცარი**
**ერის ძლიერებას ქადაგებდა**
**დადგამს საქართველო სალოცავი**
**ბორის პაიჭაძის ქანდაკებას".**

ეჭვი არ არის, მკითხველი ჩაწვდება ამ მრავლისმთქმელ სტრიქონებში მოხდენილად ჩაგვირისტებულ ბრძნულ აზრს — ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს ბორის პაიჭაძეს და მის უკვდავ ხსოვნას — მისთვის ქანდაკების გამოძერწვითაც დააგვირგვინებს.

შემომაქვს წინადადება: უახლოეს ხანში გამოცხადდეს კონკურსი ბორის პაიჭაძისათვის მისი სახელისა და ღვაწლის შესაფერისი ძეგლის ასაგებად; მით უმეტეს, რომ ძეგლის დასადგმელი ადგილი შერჩეულია — ბორის პაიჭაძისავე სახელობის ეროვნული სტადიონის ცენტრალურ შესასვლელთან მდებარე უფართოესი მოედანი, რომელიც ზედგამოჭრილია ნებისმიერი მოცულობის ძეგლის დასადგმელად.

ეჭვი ოდნავაც არ გვეპარება იმაში, რომ შესაბამისი ორგანიზაციები ოპერატიულად გამოეხმაურებიან ამ წინადადებას.

**დავით ბუზუკაშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

**რომი.** რუუდ გულიტმა იხსნა „მილანი" დამარცხებისგან, როცა „ნაპოლისთან" შეხვედრაში, იტალიის ჩემპიონატის VI ტურში, ბოლოსწინა წუთზე საპასუხო ბურთი გაიტანა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1, მანამდე კი, რამდენიმე წუთით ადრე, პირველი გოლი 11-მეტრიანით გაიტანა დიეგო მარადონამ.

„ნაპოლი", შეგახსენებთ, ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალში მოსკოვის „სპარტაკის" მეტოქეა. ნეაპოლელები ეროვნულ ჩემპიონატში 5 ქულით XI-XV ადგილებზე იმყოფებიან. 10 ქულით ლიდერობს „მილანი", 9-9 ქულა აქვთ „ინტერს" და „სამპდორიას".

**პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ჩემპიონატის IX ტურში ფრედ დამთავრდა დედაქალაქის გუნდების „სლავიას" და „დუკლას" შეხვედრა — 0:0. მატჩს სულ 2 ათასი მაყურებელი დაესწრო. „დუკლა" კიევის „დინამოს" მეტოქეა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეორე ეტაპზე, გუნდი ამჟამად ბოლოსწინა, მე-15 ადგილზე იმყოფება ჩემპიონატში.

აღსანიშნავია, რომ „დუკლა" და კიევის „დინამო" თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში წინა წლებში უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. კიეველებმა პირველი შეხვედრა მოიგეს — 3:0, მეორე კი ფრედ დაამთავრეს — 1:1.

**პარიზი.** „მონაკოსა" და „ტულუზას" შეხვედრაში გაიმარჯვა „მონაკომ" — 2:1. ეს მოხდა საფრანგეთის ჩემპიონატის მე-13 ტურში. ახლა „მონაკო" 17 ქულით მესამე ადგილზე იმყოფება. ეს გუნდი უეფა-ს თასის მეთექვსმეტედფინალში ოდესის „ჩერნომორეცის" მეტოქეა.

მიუხედავად იმისა, რომ „მარსელმა" ბოლო ტურში მარცხი იწვნია სტუმრად „სოშოსგან" — 1:2, იგი მაინც ინარჩუნებს ლიდერობას 20 ქულით, ერთი ქულით ნაკლები აქვს „ოსერს", რომელმაც ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ლიონი".



## შეგირდთა ნიჭი და ოსტატთა პრობლემები

**ქართული** ფეხბურთის მომავალი მოზარდი თაობის სწორად აღზრდაზე რომ არის დამოკიდებული, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. მით უმეტეს, დღეს, როცა ჩვენმა რესპუბლიკამ თავად იტვირთა ურთულესი საფეხბურთო მექანიზმის დამოუკიდებლად მართვა. დღეს, როგორც არასდროს, ისე სჭირდებათ საქართველოს გუნდებს ღირსეული შევსება.

ბავშვთა ფეხბურთთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში ყოველთვის საკმაოზე მეტი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებზე ჩვენი წარგზავნილები ყოველთვის პრიზიორთა შორის იყვნენ. ნიჭიერი თაობა, რომელიც ნაკადად მოდიოდა რესპუბლიკის სპორტსკოლებიდან, შეძლებისდაგვარად მწვრთნელთა და სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში იყო. აღმზრდელებმა ბევრი ახალგაზრდა სპორტსმენის ნიჭი სწორად წარმართეს და ტყავის ბურთის ცნობილ ოსტატებად აქციეს, მაგრამ სამწუხაროდ, ათასობით იმედისმომცემმა ფეხბურთელმა ვერ მიაღწია იმის ნახევარსაც კი, რის გაკეთებასაც მისგან მოელოდნენ.

დღეს ყველას გაორკეცებული გარჯა გვმართებს, რათა არცერთი ახალგაზრდა, პერსპექტიული ჭაბუკი უმეთვალყურეოდ არ დარჩეს. პირველ რიგში კი, მათ ოსტატებად ჩამოყალიბებაზე სპორტსკოლებში მომუშავე მწვრთნელებმა უნდა იზრუნონ. ჩვენი გაზეთის დღევანდელი სტუმარია თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის დირექტორი **ანდრო თურქია.** იმედია, ჩვენი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება საქართველოს უძველესი საფეხბურთო სკოლის თავკაცის საუბარი ბავშვთა ფეხბურთის დღევანდელ დღეზე.

● **ბევრი დრო აღარ დარჩა საქართველოს პირველი დამოუკიდებელი ჩემპიონატის დამთავრებამდე. საინტერესოა, როგორი რეაქცია გამოიწვია რესპუბლიკის ჩემპიონატის ჩატარებამ მომავალ ფეხბურთელებში, მათში, ვის ხელშიც უნდა იყოს საქართველოს ფეხბურთის ხვალინდელი დღე.**

— თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია დამოუკიდებელ ჩემპიონატს, ეს წელსვე ჩვენს სკოლაში ბავშვთა ახალი კონტინგენტის მიღების დროს გახდა ნათელი. კერძოდ, მკვეთრად შემცირდა რაიონებიდან ფეხბურთელების ჩამოსვლა. დღეს ყველა ადგილობრივი კადრებით აპირებს ფონს გასვლას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოზარდთა ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელებს საშუალება ექნებათ, სრულად გამოამჟღავნონ ნიჭი და უნარი. ადრე ხშირად გაიგებდით პერიფერიებში მომუშავე მწვრთნელებისაგან — ჩვენ მზარდი, ნიჭიერი ფეხბურთელი მივაწოდეთ დედაქალაქის სკოლას, მაგრამ შემდგომში ყურადღება ველარ მიაქციეს და სპორტსმენი დაიკარგაო. დღეს ეს ბრალდება მოხსნილია და ყველა შეძლებისდაგვარად მოიმკის იმას, რასაც დასთესს. ახლა იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდნენ ნორჩი ფეხბურთელები ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას. აქ ორი აზრი არ არსებობს. ადრე ყველა ფეხბურთელის ოცნება თბილისის „დინამოში" თამაში იყო; თუ მას პირველ გუნდში არ მიიწვევდნენ, მოზარდი თავის სპორტულ კარიერას დასრულებულად თვლიდა. ასე იკარგებოდა წლების განმავლობაში ათასობით იმედისმომცემი ტალანტი. დღეს საქმე სხვაგვარადაა. მარტო უმაღლეს ჯგუფში 18 გუნდი გვყავს, 20 პირველ ჯგუფში თამაშობს, 61 გუნდი კი — მეორეში. ასე რომ, ვისაც სურვილი და პერსპექტივა აქვს იყოს ფეხბურთელი, ყველას ექნება თავისი გამოჩენის საშუალება.

● **რა პრობლემები შეგექმნათ საკავშირო ფედერაციიდან ჩვენი ფეხბურთის გამოყოფის შემდეგ?**

— პრობლემები არასდროს გვაკლდა, ყოველთვის განვიცდიდით ინვენტარისა და ბურთების ნაკლებობას, მაგრამ დღეს საქმე გაცილებით ცუდადაა. ჩვენი მხრივ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა გუნდებს ამ პრობლემებმა თავისი კვალი არ დააჩნიონ. ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ვგეგმავთ ტურნირებს ბალტიისპირეთის ქალაქებში, სადაც დღესდღეობით მაისურებსა და ბუცებს ჩვენზე უკეთ კერავენ. სწორედ აქ ვიძენთ ნაღდ ანგარიშზე სპორტულ ინვენტარს. აი, ნამდვილი გასაჭირი კი ბაზების უქონლობაა, რომელზეც არაერთხელ თქმულა და დაწერილა. ვფიქრობ, ყინული აქაც დაიძრა. ვაკის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე გ. კეკელიძე სოლიდურ თანხას დაგვპირდა მინდვრების რეკონსტრუქციისათვის. გამოჩნდა შემსრულებელიც — კოოპერატივი „შრომა", რომელიც უკვე გაისად, გაზაფხულისთვის ჩვენი სკოლის რამდენიმე განახლებულ, კეთილმოწყობილ საფეხბურთო მინდორს ჩაგვაბარებს. ამის შემდეგ მწვრთნელებს და ფეხბურთელებს გაცილებით მეტს მოვთხოვთ.

● **ზემოთ ბალტიისპირეთში გამართული ტურნირებიახსენეთ. რომელ ასპარეზობებში იღებენ მონაწილეობას ჩვენი ფეხბურთელები?**

— წლის დასაწყისში დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე სკოლა იღებს მონაწილეობას; ტარდება რესპუბლიკის ფედერაციის თასის გათამაშებაც, რომელიც ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის „სიჭაბუკის თასის" სახელწოდებით არის ცნობილი. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომელმაც ჩემპიონატში ჩვენი სკოლის რამდენიმე გუნდი დაუშვა. ეს, რაც შეეხება საშინაო პირველობებს. რესპუბლიკის გარეთ მონაწილეობა მივიღეთ ბალტიისპირეთში, მოლდოვასა და სომხეთში გამართულ წარმომადგენლობით ტურნირებში. იმედია, ამ რესპუბლიკებთან ურთიერთობას კვლავაც გავაგრძელებთ, რადგან ამას ორივე მხარისათვის მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლია. აი, ცენტრთან კი, გასულ წელს ვსევოლოდ ბობროვის მემორიალის შემდეგ, სადაც ჩვენი სკოლის 1977 წელს დაბადებულმა მოსწავლეებმა გაიმარჯვეს, ყოველგვარი ურთიერთობა გავწყვიტეთ.

● **ხომ არ დაქვეითდა ჩვენი მოზარდების სათამაშო კლასი იმის გამო, რომ მონაწილეობას აღარ ვიღებთ საკავშირო ეგიდით გამართულ „სიჭაბუკის", „იმედის" თასების, უმაღლესი და პირველი ლიგების ჭაბუკთა საკავშირო გათამაშებებში, აქ ხომ ყველა რესპუბლიკის უძლიერესი გუნდები გამოდიოდნენ?**

— ამის საშიშროებას ჯერჯერობით ვერ ვხედავ, რადგანაც ზემოთ ნახსენები ასპარეზობების გარდა ჩვენი სკოლის სხვადასხვა ასაკის წარმომადგენლებმა რამდენიმე პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირშიც ისახელეს თავი. ამას წინათ საპასუხო ვიზიტით ავსტრიელთა საფეხბურთო დელეგაცია გვეწვია. სტუმრებმა რამდენიმე საწვრთნელ-საჩვენებელი მატჩი გამართეს თბილისში. ისინი აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ ჩვენი ჭაბუკების თამაშის გამო. ორ ფეხბურთელზე, რომლებიც 1975 წელს არიან დაბადებული — ანდრო მიზანდარისა და გიორგი თარგამაძეზე — ორწლიანი კონტრაქტიც კი შემოგვთავაზეს. ისინი ჩვენს სკოლას თითოეულზე 50-50 ათას დოლარს, მათ კი ავსტრიაში, სპორტულ სკოლა-ინტერნატში წვრთნისა და ცხოვრების იდეალურ პირობებს სთავაზობდნენ; ორი წლის შემდეგ, თუ რომელიმე პროფესიულ კლუბს სურვილი გაუჩნდებოდა მათი გუნდში მიწვევისა, ინტერნატი მათ საფასურად სოლიდურ თანხას მიიღებდა. თუმცა გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ამ ბავშვების გაგზავნა...

აი, ასეთი სტრუქტურაა საზღვარგარეთ ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში. მოზარდის აღზრდაში დიდ თანხას იღებს სკოლა და ოსტატთა გუნდში მიწვეულ ფეხბურთელთა მწვრთნელი.

● **თუ არ ვცდები, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაშიც ინერგება ასეთი წესი.**

— მართალი ბრძანდებით. ჩვენი სკოლის რამდენიმე მწვრთნელმა, რომლებმაც ფეხბურთელები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს „მისცეს", ფულადი პრემია მიიღეს. მაგრამ დაგვეთანხმებით, ეს ზღვაში წვეთია. შორს აღარ არის ის დრო, როცა ჩვენი სკოლაც სამეურნეო ანგარიშზე გადავა და ჩვენვე უნდა შევძლოთ ჩვენი თავის მოვლა-პატრონობა. ამიტომაც სასურველია შემუშავდეს ისეთი სტრუქტურა, როგორიც საზღვარგარეთის ქვეყნებშია დაკანონებული და რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ასეთ შემთხვევაში ჩვენს საუკეთესო მწვრთნელებს აღარ ეჭირებათ თვალი რაიონებისაკენ, სადაც ბევრად უფრო მეტ ფულს უხდიან.



ვარჯიში, მოგეხსენებათ, მარტო ბურთაობა არ გახლავთ — შეგირდების დამოძღვრა ოსტატს ვარჯიშამდეც უხდება და ვარჯიშის შემდეგაც. ამ ფოტოზე სწორედ ერთი ასეთი მომენტია აღბეჭდილი. 35-ე სკოლის მწვრთნელი ო. შენგელია რჩევა-დარიგებებს აძლევს ნორჩ აღსაზრდელებს.

● **რესპუბლიკის ჩემპიონატის მეორე ჯგუფის აღმოსავლეთ ზონაში თქვენი სკოლის გუნდი „მართვე" გამოდის. სპეციალისტების აზრით, „მართვე" ზონაში ერთ-ერთ პერსპექტიულ, იმედისმომცემ კოლექტივად ითვლება. მთელ რიგ შეხვედრებში გუნდმა საინტერესო, თანამედროვე ფეხბურთი აჩვენა მაყურებელს, გათამაშების ცხრილშიც არ უკავიათ ურიგო ადგილი. რა პერსპექტივები ესახება სამომავლოდ „მართვეს"?**

— როდესაც საქართველოში დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩატარება გადაწყდა, თხოვნით მივმართეთ რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციას, ჩვენი სკოლის 1973 წელს დაბადებულ ჭაბუკებს ესპარეზათ ამ ჩემპიონატში, რაზეც დადებითი პასუხი მივიღეთ. ასეთი კლუბის შექმნა ყოველნაირად გამართლებულია. ჯერ ერთი, უფროსებთან თამაში მხოლოდ სიკეთეს მოუტანს ჭაბუკ ფეხბურთელს, მეორეც, ყურადღების ცენტრში იქნება ყველა მოზარდი, რომელიც ჩვენს სკოლაში ვარჯიშობს.

ფეხბურთის მოყვარულებს, ალბათ ახსოვთ 70-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბებული გუნდი თბილისის „ლოკომოტივი", რომელსაც სათავეში ვლადიმერ ელოშვილი ედგა. ეს გუნდი რესპუბლიკის ჩემპიონატის I ჯგუფში გამოდიოდა. „ლოკომოტივში" იმდენი პერსპექტიული მოზარდი თამაშობდა, რომ დღევანდელ უმაღლესი ჯგუფის გუნდებში ყველა მათგანი ლიდერთა შორის იქნებოდა. სამწუხაროდ, კლუბმა მხოლოდ რამდენიმე წელი იარსება. დროის სიმცირის მიუხედავად, რესპუბლიკის მოწინავე გუნდებმა „ლოკომოტივიდან" მაღალხარისხოვანი შევსება მიიღეს.

ამ მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენი სკოლა, ყოველნაირად ეცდება, რათა რესპუბლიკურ ჩემპიონატში მუდამ ჰყავდეს გუნდი. შორს აღარ არის ის დრო, როცა საერთაშორისო ფედერაციებიც გვაღიარებენ და, ვინ იცის, იქნებ დღევანდელმა „მართვეს" ბიჭებმა 1996 წელს ატლანტაში გამართულ ოლიმპიადაზეც დაიცვან საქართველოს ღირსება.

**ესაუბრა ზაზა პაპაძე.**

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

# 3:2 ჩემპიონის სასარგებლოდ

**კასპაროვის** მოულოდნელი ტაიმ-აუტი მეხუთე პარტიაში, რომელმაც მონაწილეებს ოთხი დასვენების დღე მოუტანა, კომენტატორებმა სხვადასხვანაირად ახსნეს. ჯერ ერთი, ოთხმა მეტად დაძაბულმა პარტიამ მეტოქეები, ბუნებრივია, ძალიან დაღალა. გარდა ამისა, გვიანდელმა ანალიზმა ცხადყო, რომ მეოთხე პარტიაში, უსასტიკესი ცაიტნოტის პირობებში, კარპოვმა ხელიდან გაუშვა მოგება. კიდევ ერთი სიახლე — დეტალურმა ანალიზმა ისიც გამოარკვია, რომ მესამე პარტიაში, სადაც კასპაროვმა შავებით ლაზიერი შეწირა ორ მსუბუქ ფიგურაში, ექს-ჩემპიონს შეეძლო გაცილებით უფრო ძლიერად ეთამაშა და გამოეყენებინა დიდი მატერიალური უპირატესობა. პარტიის გადადების კიდევ ერთი მიზეზი უკვე ცრურწმენების სფეროს მიეკუთვნება — ადრინდელ მატჩებში ოთხი შემთხვევიდან სამჯერ კასპაროვი სწორედ მეხუთე შეხვედრაში დამარცხდა.

მაშ ასე, დაიწყო მეხუთე პარტია, რომელშიც თეთრებით კარპოვი თამაშობდა. რა თქმა უნდა, იგი დარწმუნებული იყო, რომ კასპაროვი ხელს არ აიღებდა ძველინდურ დაცვაზე, რომელსაც ჩემპიონი ამ მატჩში სისტემატურად მიმართავს. კასპაროვი ამ დაცვის არჩევით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იგი უაღრესად საბრძოლოდ არის განწყობილი და მხოლოდ მოგება აძლევს ხელს. ამჯერად კარპოვმა, შეიძლება ითქვას, „ცივი წყალი გადაასხა" მეტოქეს. საქმე ის არის, რომ ამ ურთულეს დებიუტში თეთრებს აქვთ საშუალება გაცვალონ ლაზიერები და, ასე ვთქვათ, განმუხტონ ყოველგვარი დაძაბულობა. სხვა საკითხია და ძნელი ასახსნელიც, რატომ უნდა მიემართა ასეთი ვაგრძელებისთვის კარპოვს, რომელიც, როგორც ცნობილია, ჯერჯერობით აგებს მატჩს. მისი ასეთი ტაქტიკა, უნდა ვიფიქროთ, თანდათანობით გახდება ნათელი.

ასე იყო თუ ისე, უკვე მეათე სვლაზე დაფიდან გაქრნენ ლაზიერები და წარმოიქმნა სრულიად თანაბარი პოზიცია. მართალია, კარპოვი ფლობდა ერთადერთ ღია ხაზს ცენტრში, მაგრამ შავებს, ყოველთვის შეეძლოთ მისი ნეიტრალიზება. 23-ე სვლაზე კარპოვმა უკვე „ტოტალურ გაცვლებს" მიმართა, გაიცვალა ოთხივე ეტლი და თამაში გადავიდა მსუბუქი ფიგურების „მკვდარ" საყაიმო დაბოლოებაში. დიდოსტატი მაქს დლუგი (აშშ), რომელიც ამ მატჩის ერთ-ერთი კომენტატორია, თვლიდა, რომ ერთ მომენტში „ოდნავ მოსწონდა" შავების პოზიცია, შემდეგ, ასევე „ოდნავ", კარპოვის ფიგურების განლაგება, მაგრამ ამას, გასაგებია, რეალური მნიშვნელობა არა ჰქონდა. 36-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიში გახდა 3:2 კასპაროვის სასარგებლოდ. მეექვსე პარტია დღეისათვის არის დანიშნული.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

**საბჭოთა** კავშირის უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა ჩემპიონატის III ტურის მომდევნო შეხვედრაში თბილისის „დინამო" კვლავ დამარცხდა, ამჯერად მოსკოვის „დინამოსთან" — 12:20. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ხარკოვის ქვეჯგუფი. „მოსკვიჩი" — „დინამო" (ალმა-ათა) — 8:7. შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტილია (სევასტოპოლი) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) — 12:12.

კიევის ქვეჯგუფი. „დინამო" (ლვოვი) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) — 8:9, „ტორპედო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) — 13:7, ცსკ სსფ — „დინამო" (კიევი) 13:13.

## ინფორმაცია

**რიო-დე-ჟანეირო.** ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატზე დამთავრდა ჯგუფური ტურნირები. პირველი ადგილები და ოქროს მედლებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს ბრაზილიის, საბჭოთა კავშირის, კუბისა და არგენტინის გუნდებმა. ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია გახლავთ ის, რომ ანალოგიურ ასპარეზობაში შარშან გამარჯვებული აშშ-ს ნაკრები ამჯერად მეცამეტე-მეთექვსმეტე ადგილებისთვის იბრძოლებს ვენესუელის, კამერუნისა და სამხრეთ კორეის გუნდებთან ერთად.

# გააუქმებენ თუ არა ატაცს?

**ლაპარაკია** ძალოსნურ ატაცზე, რომლის თაობაზეც ახლა ბევრს კამათობენ საერთაშორისო ძალოსნურ წრეებში. ცხოვრება წინ მიდის, შეჯიბრების წესები სულ უფრო იხვეწება. ამ რამდენიმე ხნის წინ ძალოსნური სამჭიდიდან ამოიღეს ერთ-ერთი მთავარი მოძრაობა — აჭიმვა. ყველანი ვფიქრობდით, რომ ამით ძალოსნობა გაღარიბდებოდა, სამჭიდის ნაცვლად ორჭიდის შემოღება დააქვეითებდა ინტერესს ძალოსანთა შეჯიბრებებისადმი, მაგრამ გამოირკვა, რომ ინტერესმა არ მოიკლო.

ამჟამად საერთაშორისო ძალოსნურ წრეებში, ეროვნულ ფედერაციებში სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ იმაზე, რომ ატაცი, არსებითად, ზედმეტი მოძრაობაა. მსოფლიოს უძლიერესი ათლეტები უნდა გამოდიოდნენ მხოლოდ ერთი შეუზღუდავი მოძრაობით — აკვრით.

იმისათვის, რომ სწორად გავერკვეთ მოვლენათა მსვლელობაში, თვალი გადავავლოთ ძალოსნობის ისტორიას.

იყო დრო, როცა მრავალჭიდში შედიოდა მრავალი სახეობა, თითქმის თერთმეტამდე. მაშინ სპეციალიზებული ძალოსნობის სექციები არ არსებობდა და „რკინის თამაშს" მხოლოდ ენთუზიასტები მისდევდნენ. ცხადია, ყოველი ათლეტი იმ სახეობაში ოსტატდებოდა, რომელშიც უკეთ ავლენდა თავის შესაძლებლობებს. ამიტომაც, 1914 წლამდე, როცა საერთაშორისო ხუთჭიდი დაწესდა, შეჯიბრების პროგრამა ხშირად იცვლებოდა, მასში შეჰქონდათ ისეთი ეგზოტიკური შეჯიბრებები, როგორიცაა საწონებისა და ქვების ტყორცნა, მიწიდან აზიდვა, ბაგირის გადაძალვა და ა. შ. სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატებში მონაწილეობდნენ პროფესიონალი ათლეტები, ცირკის მსახიობები, რომლებიც მუშაობდნენ „ცოცხალი წონით" — იყენებდნენ ცხენებს, ასისტენტებს, მაყურებლებს და საცირკო რეკვიზიტს. ასე, მაგალითად: ცნობილი ათლეტი იაკუბ ჩეხოვსკი გამართულ ხელებზე დაატარებდა ექვს ჯარისკაცს; პეტრე კრილოვი მხრებით ზიდავდა ცხენიან მხედარს. შეჯიბრებათა დღეებში იმართებოდა მოკრივეების, მოჭიდავეების, ტანმოვარჯიშეების შეჯიბრებები, რომლებიც ზოგჯერ 12-14 დღე გრძელდებოდა. მათ აფინანსებდნენ შეძლებული ადამიანები და მეცენატები.

პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში ძალოსნობა ძალზე განვითარდა მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ხარკოვში, მინსკში, ბაქოში, თბილისში. ქართველებს გვყავდა გამოჩენილი მოჭიდავეები, რომლებიც ამავე დროს ძლიერი ათლეტებიც იყვნენ. ისინი შესანიშნავ სანახაობებს აწყობდნენ არა მარტო ცირკის არენაზე, არამედ კლუბებშიც, სახალხო წარმოდგენებზეც. 1914 წელს გაიმართა რუსეთის ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12 ქალაქის 32 წარმომადგენელმა. საერთოდ, იმდროინდელი შეჯიბრებების კლასიფიკაცია ძალზე ძნელი საქმეა, ვინაიდან სატურნირო პირობები არათანაბარი გახლდათ, საერთო წესებს არავინ იცავდა.

1928 წელს მოეწყო სსრ კავშირის პირველობა, რომელშიც 32 სპორტსმენი გამოდიოდა. 1935 წელს მიიღეს დადგენილება, რომ შეჯიბრება ჩატარებულიყო მხოლოდ სამჭიდში: აჭიმვა, ატაცი და აკვრა. აქ პირობები უკვე ყველასათვის თანაბარი იყო და შეიძლებოდა ლაპარაკი ჩემპიონებისა და რეკორდსმენების გამოვლენაზე.

წარსულ წლებში წმინდა სპორტული შეჯიბრებების პარალელურად იმართებოდა ე. წ. სილამაზის კონკურსებიც, სადაც ავლენდნენ ყველაზე ესთეტიკური, ათლეტური აღნაგობის მამაკაცებს. ერთ-ერთ შეჯიბრებაში გაიმარჯვა ვინმე კონსტანტინ სტეპანმა, მოჭიდავემ, რომლის ანთროპომეტრული მონაცემები ასეთი იყო: სიმაღლე — 182 სმ, წონა — 86 კგ, გულმკერდის გარშემოწერილობა — 116-121 სმ, ბიცეპსი — 43 სმ, კისერი — 45 სმ, წვივი — 43 სმ, წელი — 80 სმ, ბარძაყი — 60 სმ, წინამხარი — 35 სმ. კ. სტეპანს მიანიჭეს „XX საუკუნის აპოლონის" წოდება. გარდა ამ, მართლაც, შესანიშნავი აღნაგობისა, იგი პირველხარისხოვანი მოჭიდავე და ძალოსანიც გახლდათ.

როგორც მოგახსენეთ, ძალოსანთა შეჯიბრებებიდან თანდათან აუქმებდნენ ისეთ მოძრაობებს, როგორიცაა: ცალ-ცალკე ხელით აჭიმვა, ატაცი და აკვრა: კლასიკური ხუთჭიდი შეიცვალა კლასიკური სამჭიდით, მერე კი, ეს ბევრს კარგად გვახსოვს, 1972 წელს საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებებიდან ამოიღეს აჭიმვაც. ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად ის ედო, რომ ათლეტებმა მაშინ საკმაოდ კარგად აითვისეს აკრძალული ილეთები და მათ მიერ შესრულებული აჭიმვა ფაქტიურად აკვრა იყო — ოღონდ სპორტსმენი იატაკს ფეხებს არ აცილებდა და აჭიმვის დროსაც მოხერხებულად რთავდა მოძრაობაში იმ კუნთებს, რომლებიც მხოლოდ აკვრისას უნდა მოქმედებდნენ. მაგრამ ტრავმების რაოდენობა აჭიმვისას სულ უფრო მატულობდა. გარდა ამისა, ძალზე გაძნელდა მსაჯობაც. მსაჯებს უჭირდათ გაერკვიათ, აჭიმვა იყო ეს თუ აკვრა, დიდ შეჯიბრებებზე პროტესტებს ბოლო არ უჩანდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აჭიმვაში ნაჩვენები შედეგები მჭიდროდ მიუახლოვდა აკვრის შედეგებს, რაც მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ ორივე მოძრაობა ფაქტიურად იდენტურად სრულდებოდა.

როგორც ვხედავთ, ძალოსნობის პროგრამის შეცვლა გამოიწვია მრავალმა მიზეზმა, მაგრამ საერთაშორისო ფედერაცია იძულებული იყო მიემართა ამ მეთოდისთვის და ძალოსნური ხუთჭიდი საბოლოოდ ორჭიდამდე შემცირდა. ახლა კი მრავალი სპეციალისტი იმის მომხრეა, რომ ძალოსანთა შეჯიბრებაში დარჩეს ერთი სახეობა — აკვრა. ე. ი. არავითარი შეზღუდვა, ძალოსანმა გამართულ ხელებზე უნდა აიტანოს წონა. ეს არის და ეს.

გადავხედოთ ისტორიას: ცხრაჭიდი ძალოსნობაში გრძელდებოდა 28 წელი (1885-1913 წლები), ხუთჭიდი — 21 წელი (1914-1935 წლები), სამჭიდი — 36 წელი (1936-1972 წლები); ორჭიდი დაკანონდა თითქმის უკვე 20 წელია (1972 წლიდან), ამიტომაც მოსალოდნელია, რომ ორჭიდმა ადგილი დაუთმოს მხოლოდ ერთ მოძრაობას — აკვრას.

რატომ მაინცდამაინც აკვრა? ჯერ ერთი, მოხდება იმ პრინციპის რეალიზება, რომ გამოვლინდეს ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტ წონას აზიდავს. გარდა ამისა, აკვრა ყველაზე უფრო ბუნებრივი, შეუზღუდავი მოძრაობაა. იგი ყველაზე უფრო იოლი შესასრულებელია და მაყურებელთათვისაც თვალნათელი. თითოეულ წონაში მოხდება ყველაზე უფრო ძლიერი სპორტსმენის გამოვლენა. ნუ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ატაცს ხშირად თან სდევს ტრავმები და ჩვენი დროის გამოჩენილი ძალოსნები სწორედ ატაცისას ზიანდებიან.

გააუქმებენ თუ არა ატაცს? ვფიქრობთ, მოვა დრო, როცა ეს საკითხი რეალურად დადგება ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წინაშე.

**რ. ქორიძე.**





## „სპორტპროგნოზი"

**42-ე ტირაჟის შედეგები (19-21 ოქტომბერი)**

1—1, 2—1, 3—2, 4—2, 5—2, 6—1, 7—1, 8—1, 9—2, 10—1, 11—1, 12—1, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## ყველას, ვისაც იზიდავს აღმოსავლური ორთაბრძოლები, იწვევს

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრთან არსებული კარატეს კლუბი „ჯიქი"**

კლუბში მუშაობენ კვალიფიციური და გამოცდილი მწვრთნელები, ჰყავთ 1990 წლის თბილისის და საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები; კლუბს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქართველოსა და უცხოეთში ჩატარებულ ნებისმიერ ჩემპიონატში.

კლუბი ურთიერთობას ამყარებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან, ამჟამად კავშირი აქვს ამერიკასთან, იაპონიასა და ჩინეთთან, აწყობს გასვლებს ამ ქვეყნებში, შეუძლია თავისი სახსრებით ჩაატაროს ტურნირი, სხვადასხვა ქალაქიდან მოიწვიოს გუნდები და ამ დარგის სპეციალისტები.

სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრს აქვს ფსიქოლოგიური კაბინეტი, სადაც მუშაობენ ამ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. აქვე ეწყობა ლექციები, სადაც მსმენელებს აცნობენ აღმოსავლური ორთაბრძოლების ისტორიას, აჩვენებენ ამ თემისადმი მიძღვნილ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს.

კარატეს კლუბი „ჯიქი" ეძებს სპონსორებს, რომლებსაც გაუწევს რეკლამას, ისინი კი დაეხმარებიან უცხოეთის ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებაში.



კლუბის პრეზიდენტად არჩეულია ქ. თბილისის 1989 წლის ჩემპიონი კარატეში გოჩა ჯავახია.

კლუბს სექციები აქვს სხვადასხვა მისამართზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვაკითხონ: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №23, II ექსპერიმენტული სკოლა. დაგვიკავშირდით ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 19 საათსა და 30 წუთიდან 22 საათამდე.

ცნობებისათვის დარეკეთ 31-02-79. 11-დან 12 საათამდე.

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორქია, კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხამდივანი — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი" — 93-97-20, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერს ავტორებს არ უბრუნდებთ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20